



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
(საქსტატი)

2017 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა - - - - -	3
ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი - - - - -	7
2017 წლის ბიუჯეტი - - - - -	10
2017 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - -	18
საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - -	31
გეგმები 2018 წლისთვის - - - - -	35

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების” თანახმად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით, შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2017 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 იანვრის №2 განკარგულებით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ეყრდნობა 10 ფუნდამენტურ პრინციპს:

„ა) მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური

მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს;

ბ) პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით უნდა მიიღონ;

გ) ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად უნდა წარადგინონ;

დ) სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება;

ე) სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს;

ვ) კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება;

ზ) საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა – კანონმდებლობა, ნორმები და ზომები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემა, საჯაროა;


თ) ეროვნული კოორდინაცია – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს შორის კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის მისაღწევად;

ი) საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების შეთანხმებულობასა და ეფექტიანობას;


კ) საერთაშორისო თანამშრომლობა – ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.“

2017 წელს, ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლზე დაყრდნობით, ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მეწარმე ფიზიკური და იურიდიულ პირთა მიმართ შედგენილი იქნა 53 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან 33 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მეწარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 20 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციულ სანქციაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, ყოველთვის ცდილობს საწარმოებთან ინდივიდუალური მუშაობის საშუალებით უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ დონეზე სანქციის დაწესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოუქპასუხებელ საწარმოთა შემცირების თვალსაზრისით. მაგალითისთვის წარმოგიდგინთ კვარტალური და წლიური ინფორმაციის წარუდგენლობისთვის შედგენილი ოქმების შემცირების დინამიკას 2016 და 2017 წლების მიხედვით:



წლიური ინფორმაციის წარუდგენლობისთვის შედგენილი ოქმების დინამიკა



ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

(საქსტატის საბჭო, მრჩეველთა საბჭო)

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, საქსტატში ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო და საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო.

საქსტატის საბჭო

საქსტატის საბჭო შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით”.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებია:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საქსტატის მრჩეველთა საბჭო

2015 წელს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს შექმნას, რომლის წევრებსაც (არანაკლებ 8) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი. წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტებს (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე) შორის.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებია:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
3. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსთვის წინადადებების მომზადება;
4. სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსთვის კონსულტაციის გაწევა ანდა წინადადებების წარდგენა;
5. საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
6. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;
7. სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
8. რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
9. გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

საქსტატის საშტატო განრიგი

2017 წელს, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 221 საშტატო ერთეულით (170 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 51 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 სამმართველო - ეროვნული ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის

სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, თელავის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, რუსთავის სამმართველო, ფოთის სამმართველო და ბათუმის სამმართველო (იხილეთ დანართი 1).

ფუნქციური დატვირთვიდან და მოვალეობებიდან გამომდინარე, სამუშაოთა გამიჯვნისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების მიზნით, ზოგიერთ სამმართველოში შეიქმნა შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფები, განყოფილებების სახით. საშტატო განრიგი წარმოდგენილია **დანართი 2**-ის სახით

2017 წელს საშუალო ხელფასი შეადგენდა 1147 ლარს.

სტატისტიკური კვლევების, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და საქსტატის სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2017 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშე თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენდა 650 ერთეულს.

2017 წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გამოცხადებული იყო კონკურსი შტატით გათვალისწინებულ 28 ვაკანტურ თანამდებობაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 1299 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო 144 კანდიდატი, ხოლო კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 25 კანდიდატი. ამასთან, 3 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად (ვერ შეირჩა კანდიდატი).

საქსტატის 2017 წლის ბიუჯეტი

საქსტატის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

“საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 7 575 000 ლარს, გრანტების გეგმა 125 710 ლარს, ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების გეგმა კი 786 797 ლარს. ასევე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის #1352 განკარგულების საფუძველზე, საქსტატს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შემდგომი განვითარებისთვის მონაცემთა ელექტრონული შეგროვების სისტემის დანერგვის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოეყო 207 500 ლარი.

2017 წლის საქსტატის შემოსავლების გეგმამ სულ შეადგინა **8 695 007 ლარი**.

2017 წლის საქსტატის საკასო ხარჯები განისაზღვრა **8 516 533 ლარით**, მათ შორის: **საბიუჯეტო სახსრები (მ.შ. სარეზერვო ფონდი) – 7 646 270 ლარი**, **გრანტები – 125 710 ლარი**, **საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 744 553 ლარი**.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად გამოიყურება:

- **შრომის ანაზღაურება – 3 439 596 ლარი**, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 2 733 646 ლარი, პრემია - 380 150 ლარი, დანამატი - 325 800 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება – 4 869 359 ლარი**, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 4 046 575 ლარი; მივლინება – 74 079 ლარი; ოფისის ხარჯი – 301 314 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი – 12 174 ლარი; სამედიცინო ხარჯი - 300 ლარი; ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 103 937 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 330 980 ლარი;
- **სოციალური უზრუნველყოფა - 95 242 ლარი**;
- **სხვა ხარჯები - 63 346 ლარი**;
- **გრანტი - 23 398 ლარი**;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა - 25 592 ლარი**;
- **ვალდებულებების კლება – 0 ლარი**.

საანგარიშო წლის განმავლობაში, “2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა და “საბიუჯეტო კოდექსის” შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში. ზემოაღნიშნულის შედეგად, საქსტატის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა-ხარჯი დაფინანსების წყაროების მიხედვით ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილების სახით:

1. საქსტატის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება - საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2017 წლის დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრულება% (6/5)
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	7,575,000	207,500	7,782,500	7,146,270	136,230	98
1	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221	221		
2	ხარჯები	7,550,000	207,500	7,757,500	7,624,682	132,818	98
	<i>შრომის ანაზღაურება</i>	<i>3,300,000</i>	<i>0</i>	<i>3,300,000</i>	<i>3,299,596</i>	<i>404</i>	<i>100</i>
	<i>საქონელი და მომსახურება</i>	<i>4,172,600</i>	<i>174,800</i>	<i>4,347,400</i>	<i>4,220,061</i>	<i>127,332</i>	<i>97</i>
	<i>სოციალური უზრუნველყოფა</i>	<i>57,400</i>	<i>40,700</i>	<i>98,100</i>	<i>95,242</i>	<i>2,858</i>	<i>97</i>
	<i>სხვა ხარჯები</i>	<i>20,000</i>	<i>-8,000</i>	<i>12,000</i>	<i>9,776</i>	<i>2,224</i>	<i>81</i>
3	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,000	0	25,000	21,588	3,412	86
4	ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0	0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,050,000	283,600	4,333,600	4,298,937	34,663	99
1	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221	221		
2	ხარჯები	4,025,000	283,600	4,308,600	4,277,349	31,251	99
	<i>შრომის ანაზღაურება</i>	<i>3,300,000</i>	<i>0</i>	<i>3,300,000</i>	<i>3,299,596</i>	<i>404</i>	<i>100</i>
	<i>საქონელი და მომსახურება</i>	<i>655,000</i>	<i>258,500</i>	<i>913,500</i>	<i>885,850</i>	<i>27,650</i>	<i>97</i>
	<i>სოციალური უზრუნველყოფა</i>	<i>50,000</i>	<i>33,100</i>	<i>83,100</i>	<i>82,127</i>	<i>973</i>	<i>99</i>
	<i>სხვა ხარჯები</i>	<i>20,000</i>	<i>-8,000</i>	<i>12,000</i>	<i>9,776</i>	<i>2,224</i>	<i>81</i>
3	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,000	0	25,000	21,588	3,412	86
4	ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0.0	0

47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,380,000	-76,100	3,303,900	3,205,733	98,167	97
1	ხარჯები	3,380,000	-76,100	3,303,900	3,205,733	98,167	97
	საქონელი და მომსახურება	3,375,000	-83,700	3,291,300	3,193,463	97,837	97
	სოციალური უზრუნველყოფა	5,000	7,600	12,600	12,270	330	97
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	145,000	0	145,000	141,600	3,400	98
1	ხარჯები	145,000	0	145,000	141,600	3,400	98
	საქონელი და მომსახურება	142,600	0	142,600	140,755	1,845	99
	სოციალური უზრუნველყოფა	2,400	0	2,400	845	1,555	35

1.1 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 4 050 000 ლარს, დაზუსტებული 4 333 600 ლარს, შესრულებამ შეადგინა 4 298 937 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99 %-ია.

ეკონომიამ შეადგინა 34 663 ლარი.

განმარტება:

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქსტატს დამატებით გამოეყო 207 500 ლარი, სასოფლო მეურნეობის შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების ელექტრონული სისტემის (CAPI) დანერგვის მიზნით. აღნიშნულ პროცესში განხორციელებული ფაქტობრივი შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 186 628 ლარი, ხოლო ეკონომია განისაზღვრა 20 872 ლარით.

სხვა დანარჩენი ეკონომიაც ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული

ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

1.2 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 3 300 000 ლარს, დაზუსტებული 3 303 900 ლარს. შესრულებამ შეადგინა 3 208 733 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 97%-ია.

ეკონომიამ შეადგინა 98 167 ლარი

განმარტება:

გამოკვლევების მიმდინარეობის პერიოდში რესპონდენტების ნაწილი უარს აცხადებდა კვლევებში მონაწილეობაზე, შესაბამისად, გამოუპასუხებლობის შედეგად წარმოიქმნა ეკონომიები.

სამუშაო ძალის გამოკვლევაში მონაცემთა ჩაწერა და ლოგიკური კონტროლი ნაწილობრივ განხორციელდა შტატიანი თანამშრომლების მიერ, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ეკონომია აღნიშნული აქტივობისთვის გათვალისწინებულ ხარჯებში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების 2017 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური გამოკვლევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა მოზიდვა, დამუშავება და გამოქვეყნება.

1.3 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (საბიუჯეტო ასიგნებები) - 4703

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 145 000 ლარს, დაზუსტებული 145 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა 141 600 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ია.

ეკონომიამ შეადგინა 3 400 ლარი

განმარტება:

ეკონომია გამოწვეულია ზოგიერთი თანამშრომლის ვადაზე ადრე გათავისუფლებით და თანამშრომელთა ბიულეტენზე ყოფნის ფაქტობრივი მდგომარეობით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სავლე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე თემატური რუკების შემუშავება. მომზადდა ელექტრონული რუკები ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

2. საქსტატის მიერ 2017 წელს მიღებული გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება

საქსტატის მიერ 2017 წელს დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ოთხი საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ორი საგრანტო ხელშეკრულება მოქმედებდა 2015 და 2016 წლიდან.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით ფულადი ფორმით 2017 წელს მიღებულია 81 598 ლარი, ხოლო 44 112 ლარი წარმოადგენს დონორების მიერ 2016 წელს ავანსად ჩარიცხულ თანხას, რომელიც გათვალისწინებული იყო 2017 წლის სამუშაოების დასაფინანსებლად. საქსტატის მიერ ფულადი ფორმით მიღებული მიზნობრივი დაფინანსების ხარჯები შეადგენს 125 710 ლარს. მათ შორის დონორისთვის დაბრუნებული აუთვისებელი თანხის ნაშთი 23 398 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება:

- **საქონელი და მომსახურება – 102 312 ლარი, მათ შორის:**
 - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 90 258 ლარი;
 - ოფისის ხარჯი – 12 054 ლარი;
- **გრანტები - 23 398 ლარი.**

გარდა ამისა, გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, ნატურალური ფორმით 2017 წელს მიღებულია 233 586 ლარის ღირებულების ტექნიკა.

გრანტები გამოიყო შემდეგი მიზნებისთვის:

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანია გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე.

ხორვატიის ენერჯეტიკის ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანია შინამეურნეობებში ენერჯის მოხმარების გამოკვლევის ფინანსური მხარდაჭერა.

საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ცენტრის (GCAD) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანია საქართველოში სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შემდგომი განვითარებისთვის მონაცემთა ელექტრონული შეგროვების სისტემის (CAPI) დანერგვა და მისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა. აღნიშნული გრანტის გამოყოფა განხორციელდა აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ (UNFPA) გამოყოფილი გრანტი წარმოადგენს ტექნიკურ დახმარებას მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის ხელშესაწყობად.

საქსტატის 2017 წელს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი

ფულადი სახით მიღებული გრანტი					
N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2017 წლის ხარჯთაღრიცხვა (ლარი)
1	აზიის განვითარების ბანკი - ADB	"სტატისტიკური პოტენციალის განვითარება სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის"	27.07.2015-31.03.2018	120 000 აშშ დოლარი	12998.18
2	აგრობიზნესის განვითარების ცენტრი (GCAD)	"სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პროფესიული განვითარება"	24.08.2016-31.12.2017	32 000 აშშ დოლარი	31113.70
3	ხორვატიის ენერჯეტიკის ინსტიტუტი	"შინამეურნეობებში ენერჯის მოხმარების სტატისტიკური გამოკვლევა"	28.04.2017-30.11.2017	29 055 ევრო	81598.30
ნატურალური სახით მიღებული გრანტი					
N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2017 წელს მიღებული გრანტის ღირებულება (ლარი)
1	აგრობიზნესის განვითარების ცენტრი (GCAD)	"სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პროფესიული განვითარება"	17.08.2017-05.09.2017	62754.38 ლარი	62754.38
2	აგრობიზნესის განვითარების ცენტრი (GCAD)	"სოფლის მეურნეობის სტატისტიკის პროფესიული განვითარება"	28.09.2017-31.10.2017	164827.26 ლარი	164827.26
3	გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)	დემოგრაფიული სტატისტიკის ხელშეწყობა	22.12.2017-31.12.2017	2218.77 აშშ დოლარი	6004.00

3. საქსტატის მიერ 2017 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატს აქვს უფლება მიიღოს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებიდან.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენდა **103 305** ლარს.

2017 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა **657 264** ლარი, მათ შორის:

ა) **57 148** ლარი მიღებულია სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის სახით (ფასიანი ინფორმაცია).

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე საქსტატში შემოსულია **2433** ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან **667** წერილზე გაწეულ იქნა ფასიანი მომსახურება, **1406** წერილზე გაიცა უფასო ინფორმაცია, **330** წერილი გაუქმდა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო **30** წერილში მოთხოვნილ ინფორმაციას საქსტატი არ ფლობდა ან შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

აღნიშნულ პერიოდში ფასიანი ინფორმაციის მიწოდებიდან შემოსული თანხა (**57148 ლარი**) დარგობრივი სამმართველოების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 47301 ლარი, 82.7 %
- ბიზნეს სტატისტიკა - 6648 ლარი, 11.6 %
- ფასების სტატისტიკა - 1702 ლარი, 3.0%
- სოციალური სტატისტიკა - 577 ლარი, 1.0%
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 378 ლარი, 0.7%
- სხვადასხვა - 542 ლარი, 1.0 %

ბ) **600 116 ლარი მიღებულია** სხვადასხვა დამკვეთისთვის ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისთვის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში.

წლის განმავლობაში გაფორმდა მსგავსი ტიპის ოთხი ხელშეკრულება:

N	პროექტის დამკვეთი	პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების ღირებულება	2017 წელს მიღებული დაფინანსება (ლარი)
1	გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN Women	ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა	01.03.2017-31.03.2018	312 415.80 ლარი	284715.80

2	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია WHO	ჯანდაცვის უტილიზაციისა და დანახარჯების გამოკვლევა საქართველოში	19.05.2017-30.10.2017	8 000 აშშ დოლარი	19386.06
3	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	ჯანდაცვის უტილიზაციისა და დანახარჯების გამოკვლევა საქართველოში	22.05.2017-31.10.2017	140 000 ლარი	134754.00
4	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა	01.09.2017-22.12.2017	165 495 ლარი	160930.76

2017 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **744 553** ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება:

- შრომის ანაზღაურება – 140 000 ლარი, (მ.შ.პრემია - 140 000 ლარი);
- საქონელი და მომსახურება – 546 979 ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 513 900 ლარი; მივლინება - 12 792 ლარი; ოფისის ხარჯი – 11 149 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 9 138 ლარი;
- სხვა ხარჯები (გადასახადები) - 53 570 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 004 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს **16 016** ლარს.

2017 წელს განხორციელებული ცვლილებები და ინფორმაციის გავრცელების საშუალებები:

2017 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

1. მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება;
2. ახალი პროდუქტების შექმნა და არსებულის ხარისხის გაუმჯობესება;
3. სტატისტიკის წარმოების პროცესები და ხარისხის აუდიტი;
4. საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).

1. მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება

საქსტატი სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

- ვებ-გვერდი;
- PC–Axis;
- სოციალური ქსელი – (Facebook და სხვა);
- ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი;
- ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონის აპლიკაცია;
- ვებ-გვერდის საშუალებით სტატისტიკური ინფორმაციის სიახლეების გამოწერის სერვისი;
- სტატისტიკური პუბლიკაციები;
- დოკუმენტირებული ანგარიშები;
- პრეს-რელიზები;
- პრესკონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის *(საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია იხ. დანართი 3)*.

საქსტატის ახალი სერვისები 2017 წლისთვის

2017 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს მონაცემთა გავრცელების ახალი სისტემა შესთავაზა. უწყების ვებ-გვერდს დაემატა GIS (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების) ანალიზის პორტალი, რომელიც ინტერაქტიული რუკების მეშვეობით იძლევა თემატური ანალიზის საშუალებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან იქნება რეგიონული ანალიზისას. პორტალზე განთავსებულია ასევე აქტიური საწარმოების გეოგრაფიული კოორდინატები.

2017 წელს საქსტატმა შექმნა ასევე ორი ახალი პროდუქტი - პერსონალური ინფლაციის კალკულატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსის კალკულატორი.

პერსონალური ინფლაციის კალკულატორი მომხმარებელს საშუალებას აძლევს გაიანგარიშოს ინფლაციის დონე პირადი ხარჯების სტრუქტურის გათვალისწინებით. აღნიშნული პროდუქტი მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი (მაგ.: აშშ, ავსტრია, ჰოლანდია და სხვ.), ხოლო 2017 წლიდან მათ რიგებს საქართველოც შეუერთდა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის კალკულატორის დახმარებით შესაძლებელია მომხმარებლისთვის სასურველი პერიოდისთვის ინდექსის საერთო დონის ცვლილების გაანგარიშება. გარდა ამისა, კალკულატორი იძლევა ინფლაციის გათვალისწინებით თანხების გაანგარიშების საშუალებას.

ორივე პროდუქტი საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ. 2017 წელს:

- მომზადდა 87 პუბლიკაცია, რაც 14%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით;
- გავრცელდა 152 პრეს-რელიზი, რაც 24%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 2141 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია;
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 563 063 მომხმარებელმა, რაც 17%-ით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს;
- 2016 წელს საქსტატმა მოამზადა და გავრცელა 47 კვარტალური და 23 წლიური პერიოდულობის პუბლიკაცია.

გასული წლების მსგავსად, 2017 წელსაც უწყება აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში იმართებოდა შეხვედრები სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან (44 შეხვედრა). საქსტატის ხელმძღვანელობამ ჩაატარა გასვლითი შეხვედრები რეგიონებში. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობების, ბიზნესის არასამთავრობო

ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ჩატარდა თემატური შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უწყების მიერ აღინიშნა ქართული სტატისტიკის დღე. 2017 წელს ჩატარდა ორ დღიანი სემინარი გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებისთვის. სემინარს ესწრებოდა სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის 25 წარმომადგენელი.

სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და ლიტვის სტატისტიკის სამსახურთან.

2. ახალი პროდუქტების შექმნა და ხარისხის გაუმჯობესება:

გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და არსებულის ხარისხის გაუმჯობესება საქსტატის მუდმივ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2017 წლის განმავლობაში საქსტატის 580-მდე საველე პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი სხვადასხვა კვლევის ფარგლებში.

2017 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შექმნა ახალი პროდუქტები:

- ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები;
- სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (სიღარიბის ეროვნული ზღვრის მიმართ);
- ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (DPPI);
- იმპორტის ფასების ინდექსი (MPI);
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ზომის გაზრდის საფუძველზე გაანგარიშდა და გავრცელდა 60-ზე მეტი ახალი მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე და 500-ზე მეტი მაჩვენებელი რეგიონის დონეზე,
- ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები ტრანსპორტირების სახეების მიხედვით (ყოველთვიური, წლიური).

3. სტატისტიკის წარმოების პროცესები და ხარისხის აუდიტი

- მომზადდა და 2017 წლის 11 ივლისიდან ძალაში შევიდა ვალუტების განახლებული კლასიფიკატორი, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტის ISO 4217 “Codes for the representation of currencies and funds” 2015 წლის ვერსიის საფუძველზე. აღნიშნული კლასიფიკატორი გამოიყენება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა წარმართვის, სავალუტო შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვის, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების, საერთაშორისო ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული ოპერაციების

ოპერატიული აღრიცხვის, სახელშეკრულებო და საგადასახადო დისციპლინის დაცვის კონტროლის და სხვა მიზნებისთვის.

- შემუშავდა და დამტკიცდა მეტამონაცემების/ხარისხის ანგარიშების ერთიანი სტანდარტი, რომელიც გამოყენებული იქნება სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების აღწერილობების (მეტამონაცემების), ასევე მათი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ზომების აღწერილობების (ხარისხის ანგარიშების) მოსამზადებლად. აღნიშნული სტანდარტი ეფუძნება ევროკავშირის შესაბამის სტანდარტს – ESMS (Euro-SDMX Metadata Structure). საქსტატის დარგობრივ სამმართველოებთან ერთად შემუშავდა პროცესების და პროდუქტების ჩამონათვალი და 2017 წლის დეკემბრიდან დაიწყო მეტამონაცემების/ხარისხის ანგარიშების მომზადება ყველა ამ პროცესის და პროდუქტისთვის.
- გრძელდებოდა მუშაობა მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ დოკუმენტებზე. კერძოდ, დამტკიცდა და საქსტატის ვებ გვერდზე განთავსდა საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკის დოკუმენტი.

მონაცემთა გავრცელების ვადების შემცირება, კვლევის მეთოდების დახვეწა:

- საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები გამოქვეყნდა საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-19 დღეს, ნაცვლად 21-ე დღისა;
- თეატრების მუშაობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარის შევსება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში.

გავრცელებული პუბლიკაციები:

- საქართველოს ეროვნული ანგარიშები, 2016
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2016
- საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2017
- დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2017
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 2014
- საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2016
- საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, 2016
- საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2017
- მეწარმეობა საქართველოში, 2017
- საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017
- შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება, 2017
- ქალი და კაცი საქართველოში, 2017

2017 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული
სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშები

ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის SNA 2008 დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

1. ექსპერიმენტული სექტორული ანგარიშების ფორმირება ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

2. ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავება.

3. ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ექსპერიმენტული გაანგარიშება.

გრძელდება ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობა. კერძოდ, მიმდინარეობს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

განხორციელდა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დეტალური სტრუქტურის გაანგარიშება, სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების წონების განახლების მიზნით.

ფასების სტატისტიკა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

- განხორციელდა 2018 წლისთვის სამომხმარებლო კალათის წონების განახლება, ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების უახლესი სტრუქტურის მიხედვით. 2018 წლის სამომხმარებლო კალათა შედგება 305 დასახელების საქონლის და მომსახურებისგან.

მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსები

- დაიწყო ორი ახალი სტატისტიკური ინდიკატორის - ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის (DPPI) და იმპორტის ფასების ინდექსის (MPI) გამოქვეყნება.
DPPI წარმოადგენს მწარმოებელთა მიერ ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო საქონლის ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზისო პერიოდთან შედარებით. ექსპორტის ფასების ინდექსთან ერთად ის ქმნის მწარმოებელთა ფასების მთლიან ინდექსს (PPI).

MPI წარმოადგენს იმპორტირებული სამრეწველო პროდუქციის ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზისო პერიოდთან შედარებით და მისი წონების სტრუქტურა ეფუძნება საგარეო ვაჭრობის ინფორმაციას.

- განხორციელდა საწარმოების შერჩევა და წონების გაანგარიშება ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შემენილი მასალების, ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის.

მშენებლობის ღირებულების ინდექსის საცდელი გაანგარიშება

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა მშენებლობის ფასების ინდექსების საპილოტე კვლევის სამუშაოები, რაც მოიცავდა სამშენებლო მასალების, ასევე მომსახურების ფასების გამოკვლევასა და შესაბამისი ინდექსის საცდელ გაანგარიშებას. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ღირებულების ინდექსის გამოქვეყნება დაიწყება 2018 წლის ივნისიდან, კვარტალური პერიოდულობით.

საერთაშორისო შედარებების პროგრამა

2017 წელს საქსტატი ჩაერთო საერთაშორისო შედარებების პროგრამის 2017 წლის რაუნდში. პროგრამის მიზანია მასში მონაწილე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება ვალუტების მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (Purchasing Power Parity) გათვალისწინებით. 2017 წლის მანძილზე პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სამუშაოები საინფორმაციო ბაზის მომზადების მიმართულებით, რაც მოიცავდა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების, ასევე სამშენებლო და საინვესტიციო საქონლის ფასების სტატისტიკურ გამოკვლევას.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები:

- განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის მონაცემების კორექტირება (კორექტირება შეეხეო 2015-2017 წწ.).
- მოხდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისტორიული დინამიკური მწკრივების (2002-2017 წწ) გადასინჯვა და აუცილებელი ცვლილებების განხორციელება, საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- საგარეო ვაჭრობის მონაცემები გავრცელდა ახალი კლასიფიკაციით: ტრანსპორტირების სახეების მიხედვით.

ბიზნეს სტატისტიკა

- განხორციელდა გენერალური ერთობლიობის განახლება და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი. ერთობლიობაში აქტიურ საწარმოთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 2%-ით და შეადგინა 100 ათასი. გარდა ამისა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გაუმჯობესდა გენერალური ერთობლიობის ხარისხი: აქტიურ საწარმოთა წილი, რომლებსაც არ აქვთ მითითებული ეკონომიკური საქმიანობის სახე, 2,4%-დან შემცირდა 2,0%-მდე.
- განხორციელდა საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა.
- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრში ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის NACE Rev. 2 ვერსიის ასახვა.
- განხორციელდა შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა, მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და მომზადდა შესაბამისი სტატისტიკური პუბლიკაცია.
- განხორციელდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევის სავლე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და გამომავალი ცხრილების მომზადება.
- მომზადდა და გამოქვეყნდა ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები.
- განხორციელდა ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების გადაანგარიშება და გამოქვეყნება საწარმოთა ზომის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით.
- განხორციელდა ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების გამოქვეყნება ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის მიხედვით.
- განხორციელდა ყოველთვიური ენერგეტიკული სტატისტიკის მაჩვენებლების შეგროვებისა და გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები.
- განხორციელდა ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები.
- გატარდა რიგი ღონისძიებები, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით (ბიზნეს სტატისტიკის არეალის გაფართოება, ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვის რეკომენდაციების შესრულება და სხვა.)

სოციალური სტატისტიკა

- გაეროს ქალთა ორგანიზაციასა (UN-Women) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის 2017 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის - „ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა“ ფარგლებში საქსტატმა ჩაატარა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. კვლევის მიზანი იყო საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და მასშტაბის გამოვლენა. 2017 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
 - შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტარი, კვლევის სავალე პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები;

- შეიქმნა საველე სამუშაოების შედეგად მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერისა და მონაცემთა ლოგიკური კონტროლების პროგრამა;
- განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი და მონაცემთა ბაზის გაწმენდა;
- განხორციელდა მონაცემთა დამუშავება და გამომავალი ცხრილების ფორმირება.

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევაში მონაწილეობდნენ 15-64 წლის ასაკის ორივე სქესის პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ (ქალებისთვის შერჩა - 10800 შინამეურნეობა, კაცებისთვის - 3630 შინამეურნეობა) კერძო შინამეურნეობებში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 6006 ქალი და 1601 კაცი. კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2018 წელს.

- გაგრძელდა პილოტური კვლევა "გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე". 2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა აღნიშნული კვლევიდან მიღებული ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწა და მათი გაანგარიშება. დაიწყო და 2018 წელს გაგრძელდება კვლევის ანალიტიკური ანგარიშის მომზადება. კვლევა ჩატარდა 2783 შინამეურნეობაში. იგი მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული ისეთი აქტივების შესახებ, როგორცაა: საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები და სხვა.

საბოლოოდ, კვლევის შედეგები და მეთოდოლოგიურ საკითხებში მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება აღნიშნული კვლევის საერთაშორისო მეთოდოლოგიის შემუშავებაში. კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2018 წელს.

- განხორციელდა “ჯანდაცვის მომსახურების უტილიზაციისა და დანახარჯების კვლევა შინამეურნეობებში, IV რაუნდი” კვლევის საველე სამუშაოები. ასევე, მოხდა მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი და მონაცემთა ბაზის გაწმენდა. კვლევისას გამოიკითხა 3141 შინამეურნეობა. აღნიშნული კვლევა მოიცავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შემდეგ საკითხებს: შინამეურნეობის წევრთა ჯანმრთელობა, ადგილობრივი ჯანდაცვის დაწესებულებები, ჯანდაცვის მომსახურება და ჯანმრთელობის დაზღვევა, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, ავადმყოფობები, მომსახურებები და ჯანდაცვის ხარჯები, ჰოსპიტალიზაცია. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება სამინისტროს მიერ საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასებისთვის.

შინამეურნეობათა გამოკვლევა

- შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო დასაქმების მოდული, რამაც შეამცირა რესპონდენტის დატვირთვა.
- 2017 წლიდან კვლევის შერჩევის ჩარჩო განახლდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზის შესაბამისად და მონაცემების ცდომილების შემცირების მიზნით, გაიზარდა შერჩევის ზომა და მოხდა შერჩევის დიზაინის ცვლილება.
- მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან თანამშრომლობის გზით, შემუშავდა აბსოლუტური სიღარიბის ამსახველი ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია, სიღარიბის საერთაშორისო ზღვრების მიმართ. აღნიშნული ინდიკატორების გავრცელება განხორციელდება 2018 წლიდან;
- დაიწყო აბსოლუტური სიღარიბის ამსახველი ეროვნული ინდიკატორების წარმოება და გავრცელება.
- განხორციელდა „შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევის“ კითხვარების გადახედვა და ცვლილებების შეტანა, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელდა გარკვეული ინდიკატორების მეთოდოლოგიის გადახედვა და ახალი ინდიკატორის დანერგვა და გავრცელება (მობილური ტელეფონის გამოყენების მაჩვენებელი).

შრომის სტატისტიკა

- 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის გამოკვლევის მოდული და დაინერგა დამოუკიდებელი, რეგულარული, სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევა. ახალი სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის ჩარჩო განახლდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზაზე. განახლდა ასევე შერჩევის დიზაინი, ხოლო შერჩევის ზომა კვარტალში გაიზარდა 3400 შინამეურნეობიდან 6000 ათას შინამეურნეობამდე. 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა 2017 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის საველე სამუშაოები. 2017 წლის დასაწყისში მომზადდა კვლევის მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის პროგრამული პროდუქტი და შემუშავდა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების სისტემა.

სოციალური ინფრასტრუქტურა

- უმაღლესი განათლების სტატისტიკური კვლევების კითხვარების შევსება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში.
- პირველად ჩატარდა ტრენინგი გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებისთვის.

ტურიზმი

- უცხოელ ვიზიტორთა კვლევის დიზაინის, შერჩევის, შეწონვისა და იმპუტაციის მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები შვედეთის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტებთან.
- შვედეთის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტებთან შეხვედრებზე განხილულ იქნა 2019 წლიდან დაგეგმილი გარე (გამყვანი) ტურიზმის კვლევის დასანერგად საჭირო საფეხურები. ასევე დაიგეგმა 2018 წელს საბოლოო შეხვედრა, სადაც განხილული იქნება გარე (გამყვანი) ტურიზმის კვლევასთან დაკავშირებული საკითხები.
- ადგილობრივი შიდაურნეობების ტურიზმის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიცვალა აღნიშნული კვლევის შერჩევის სტრუქტურა.
- 2017 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საზღვრის კვეთის მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების მიზნით. აღნიშნული აუცილებელია უცხოელ ვიზიტორთა კვლევის შერჩევის, მონაცემთა შეწონვისა და გავრცელებისთვის.

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო

- გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და შვედეთის მთავრობის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში,
 - განხორციელდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების სიღრმისეული ანალიზი და გავრცელება;
 - დემოგრაფიული მონაცემების 2014 წლის აღწერის მონაცემებთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელდა წინა წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების სამუშაოები.
- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა დეტალური თემატური ელექტრონული რუკები.
- განხორციელდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების PC-AXIS ფორმატში გავრცელება; გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) დახმარებით მომზადდა და საქსტატის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ანგარიში, ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის შესახებ (2015 წლის მდგომარეობით).
- მომზადდა 2016 წლის დემოგრაფიული მაჩვენებლები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციული სალდო და სხვა).

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა

- 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის საფუძველზე, სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის განახლებასთან დაკავშირებით, 2014-2016 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების გადაანგარიშება.
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ზომის გაზრდის საფუძველზე გაანგარიშდა და გავრცელდა 60-ზე მეტი ახალი მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე და 500-ზე მეტი მაჩვენებელი რეგიონის დონეზე, რაც 2016 წლამდე, შერჩევის ზომის სიმცირის გამო, არ იყო ხელმისაწვდომი.
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაში ანდროიდ ტაბლეტების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუების (CAPI) ინოვაციური მეთოდის დანერგვასთან დაკავშირებით, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პირველადი მონაცემების შეგროვების ვადების შემცირებას და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას.
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევაში ანდროიდ ტაბლეტების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუების (CAPI) დანერგვის მიზნით, შეიქმნა ელექტრონული კითხვარები ანდროიდ ტაბლეტებისათვის; ელექტრონული კითხვარები შემუშავდა მსოფლიო ბანკის პროგრამული უზრუნველყოფის (Survey Solution) გამოყენებით და მათი ტექნიკური მხარდაჭერით.
- მომზადდა CAPI-ს მეთოდით პირველადი მონაცემების შეგროვების სავსე სამუშაოების მიმდინარეობის რეპორტირების და მონიტორინგის სისტემა.
- CAPI-ს მეთოდით მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით საქსტატის სავსე პერსონალს და რეგიონული სამართველოების 300-ზე მეტ თანამშრომელს ფართომასშტაბიანი ტრენინგები ჩაუტარდათ.
- CAPI-ს მეთოდით სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა შეგროვებისათვის, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა (USDA) საქსტატს საჩუქრად გადასცა 365 პლანშეტი და ორი სერვერი.
- შემუშავდა აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის ელექტრონული კითხვარი და კითხვარის შევსების ინსტრუქცია ანდროიდ ტაბლეტებისათვის.
- ჩატარდა აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის ელექტრონული კითხვარის სავსე ტესტირება CAPI-ს მეთოდის გამოყენებით.
- განხორციელდა წყალმომარაგებელი საწარმოების გამოკვლევა, რომელმაც მოიცვა საქართველოში წყალმომარაგებითი საქმიანობით დაკავებული ყველა მოქმედი საწარმო და შეგროვდა მონაცემები წყალმომარაგების, წყალარინებისა და ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ.
- განხორციელდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი ინდიკატორების გაანგარიშება და გავრცელება;
- შვედი ექსპერტების დახმარებით განხორციელდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება ნარჩენების სტატისტიკის მიმართულებით და გაანალიზდა ინდიკატორების წარმოების შესაძლებლობები და საჭიროებები.
- შვედი ექსპერტების დახმარებით განხორციელდა გარემოსდაცვითი ეკონომიკური ანგარიშების წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრა, გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები და მონაცემთა საჭიროებები.

- განხორციელდა საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის პუბლიკაციების და ბროშურების გავრცელება ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ორგანოებში, საქვეუწყებო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ბიზნეს ასოციაციებში, ბანკებში და სხვა. 900 პუბლიკაცია და 15 000 ბროშურა დაიბეჭდა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დახმარებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

- შეიქმნა ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებზე და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების პორტალი „GIS ანალიზი“. 2018 წელს იგეგმება აღნიშნულ პორტალზე საქსტატის სხვა დარგობრივი სამმართველოების მონაცემების განთავსება.
- შეიქმნა პროგრამული პროდუქტი - პერსონალური ინფლაციის კალკულატორი.
- შეიქმნა პროგრამული პროდუქტი - სამომხმარებლო ფასების ინდექსის კალკულატორი.
- მსოფლიო ბანკის დახმარებით დაინერგა მონაცემთა შეგროვების CAPI მეთოდი.

სტატისტიკური გამოკვლევების მონიტორინგი (შიდა აუდიტი)

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამმართველომ იხელმძღვანელა დამტკიცებული შიდა აუდიტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით, რომელმაც მოიცვა შიდა აუდიტორული შემოწმებები შემდეგ აუდიტის ობიექტებში:

- ფასების სტატისტიკის სამმართველო;
- სოციალური სტატისტიკის სამმართველო;
- ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო.

აუდიტორული შემოწმებები განხორციელდა ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმით, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის მოქმედების სფეროს და ამოცანებს. ინდივიდუალური გეგმით გაწერილი ძირითადი საკითხებია:

- ✓ შიდა აუდიტის ობიექტის სტრუქტურისა და პროცესების შესწავლა მოქმედ კანონმდებლობასთან და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობაში;
- ✓ საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი საქსტატის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიებზე;
- ✓ სტატისტიკური სამუშაოების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება და მათი შესაბამისობა სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდართან;

- ✓ აუდიტის ობიექტში შესული/გასული კორესპონდენციების შესრულების მდგომარეობა;
- ✓ აუდიტის ობიექტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- ✓ შიდა კონტროლის გარემოს შესწავლა, მისი ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასება;
- ✓ რისკ-ფაქტორების განსაზღვრა, ანალიზი და აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების წარდგენა.

შიდა აუდიტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებდა წინა წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

შიდა აუდიტის სამმართველომ, შიდა აუდიტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა, განახორციელა დაუგეგმავი შემოწმებები/დავალებები, კერძოდ:

- საველე სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება საქსტატის სტრუქტურულ ერთეულებში:
 - ✓ ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო - 1) საწარმოთა კვარტალური გამოკვლევა; 2) უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა;
 - ✓ სოციალური სტატისტიკის სამმართველო - უცხოელ ვიზიტორთა კვლევა;
 - ✓ სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო - სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა (კვარტალური).
- ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ საჩივრებზე რეაგირება;
- შიდა სტრუქტურული ერთეულების განცხადებაზე რეაგირება შესაძლო დარღვევებსა და გადაცდომებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით. იმისთვის, რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები იყოს ურთიერთშედარებადი, აუცილებელია ყველა ქვეყანა ერთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდეს. საერთაშორისო მეთოდოლოგიები ძირითადად დგინდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა). ამიტომ, “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. გამოვყოფთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას:

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო სამი საკითხის შესრულება:

1. ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგიის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება და წარმოება - შესრულდა სრულად.

2. ხარისხის ანგარიშების (დოკუმენტები, რომლებშიც დახასიათებულია სტატისტიკური მონაცემების ხარისხის კრიტერიუმები და მათ უზრუნველსაყოფად გატარებული ზომები) მომზადება კვლევების უმრავლესობისთვის. 2017 წ. აპრილში შვედეთის სტატისტიკის ექსპერტებმა საქსტატის თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრენინგი ევროპის სტატისტიკური სისტემის მეტამონაცემების და ხარისხის ანგარიშების სტრუქტურის – ESMS (Euro-SDMX Metadata Structure) – საკითხებზე. მომზადდა ხარისხის ანგარიშების ორი საპილოტე ვერსია ESMS სტრუქტურის მიხედვით. შვედი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე მეტამონაცემების/ხარისხის ანგარიშების ფორმატი და სტრუქტურა დაზუსტდა და დაიხვეწა ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად. საქსტატის დარგობრივ სამმართველოებთან ჩატარდა კონსულტაციები მეტამონაცემების/ხარისხის ანგარიშების მომზადების თაობაზე. 2017 წლის ბოლოსთვის სამმართველოებში მომზადდა აღნიშნული ანგარიშების საწყისი ვერსიები. საბოლოო ვერსიების მომზადება და გამოქვეყნება (ინტერნეტში განთავსება) გათვალისწინებულია 2018 წლის განმავლობაში.

3. SNA-2008 დანერგვა. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის (NACE rev.2)-ის დანერგვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში - შესრულდა მეტწილად. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ჩართულობით. განახლებული მონაცემები გამოქვეყნდება 2019 წელს.

- 2017 წელს გაგრძელდა თანამშრომლობის პროექტი შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან. პროექტის ფარგლებში 2017 წელს საქსტატში განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების 14 მისია და საქსტატის თანამშრომლების სამი სასწავლო ვიზიტი შვედეთში. სასწავლო ვიზიტები განხორციელდა შემდეგი თემატიკის მიხედვით: გარემოს დაცვის სტატისტიკა (სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო საქსტატისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ექვსმა თანამშრომელმა), ეროვნული ანგარიშები (4 თანამშრომელი) და ტურიზმის სტატისტიკა (5 თანამშრომელი). 2017 წელს პროექტის ფარგლებში, საქსტატის ორი თანამშრომელი გაიგზავნა ორებროს უნივერსიტეტის (შვედეთი) საზაფხულო სკოლაში, ხოლო ორი თანამშრომელი დაესწრო ლუქსემბურგში ორგანიზებულ კონფერენციას მონაცემთა ხარისხის შესახებ. საქსტატში შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების მოკლევადიანი სამუშაო მისიები განხორციელდა შემდეგ თემატურ სფეროებში: ეროვნული ანგარიშები, ბიზნეს სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკა, გარემოს სტატისტიკა და მონაცემთა კონფიდენციალურობა, ასევე სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და დოკუმენტირება. აღსანიშნავია, პროექტის ფარგლებში საქსტატის თანამშრომლობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, გარემოს სტატისტიკის გაუმჯობესების მიმართულებით. მუშაობა მიმდინარეობდა ახალი თემატური დარგების სტატისტიკის გაუმჯობესებაზე, როგორცაა ნარჩენები და გარემოს დაცვითი ეკონომიკური ანგარიშები. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 2017 წელს პროექტის მხარდაჭერა გენდერული სტატისტიკის ცნობადობის ამაღლების მიზნით, რომლის ეგიდითაც, პროექტმა უზრუნველყო "ქალი და კაცი საქართველოში 2017" პუბლიკაციის ბეჭდური ორენოვანი გამოცემა (ტირაჟი 300-300 ეგზემპლარი) და ორდღიანი ტრენინგის ორგანიზება, რომელიც მოიცავდა გენდერული სტატისტიკის მონაცემთა გაცნობას სამეცნიერო, ჟურნალისტური, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის.

- 2017 წელს საქსტატმა მონაწილეობა მიიღო ევროსტატისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და შეხვედრებში.

2017 წელს ევროსტატის ორგანიზებით ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე: "ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობა" (Economic Integration and Convergence with EU Policies). სემინარში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურის წარმომადგენლები.

2017 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით ქ. თბილისში ჩატარდა სასწავლო კურსი ფასების

სტატისტიკის შესახებ (Statistical Training Course on Price Statistics). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 12 ქვეყნის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლებმა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით ქ. თბილისში გაიმართა ღონისძიება თემაზე: "მდგრად ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში" (Sustainable Energy for All in Eastern Europe, the Caucasus and Central Asia);

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით ქ. თბილისში ასევე გაიმართა სემინარი თემაზე: "ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება სტატისტიკის მდგრადი განვითარებისთვის (Workshop on Strengthening National Capacity for the Sustainable Development of Statistics). სემინარში მონაწილეობა მიიღო 7 ქვეყნის სტატისტიკის სამსახურის 25-მა წარმომადგენელმა;

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მიერ ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც EU4Energy პროგრამის ფარგლებში, ხუთი თემატური მიმართულებით განხორციელდა.

- 2017 წელს საქსტატში ორჯერ სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები. პირველი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program, ICP) 2017 წლის რაუნდში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაგეგმვა, ხოლო მეორე ვიზიტის მთავარი მიზანი იყო პროგრამის ფარგლებში საქსტატის მიერ განხორციელებული სამუშაოების რევიზია.

- 2017 წლის მარტში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ხორვატიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ექსპერტები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და „მსოფლიო გამოცდილება საქართველოს“ (WEG) წარმომადგენლები.

- 2017 წლის მაისში ჩატარდა ევროკომისიის (EC) მიერ ორგანიზებული აღმოსავლეთ პარტნიორობის სტატისტიკური პანელის მეხუთე შეხვედრა - „ევროკავშირის კანონმდებლობა სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში“.

- 2017 წლის ნოემბერში საქსტატში იმყოფებოდნენ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და ევროსტატის ექსპერტები. შეხვედრაზე განხილულ იქნა ენერგეტიკის სტატისტიკაში ენერგორესურსების ფასების გაანგარიშებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხები.

- 2017 წლის დეკემბერში, საქსტატში გაიმართა სამუშაო შეხვედრა DANIDA-ს პროექტის ექსპერტებთან თემაზე: "საქართველოში ელექტროენერჯიის მოთხოვნის გრძელვადიანი პროგნოზირების შესახებ".

- 2017 წელს საქსტატში იმყოფებოდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტი „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის“ მეთოდოლოგიური საკითხების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

- 2017 წელს საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის ორი ექსპერტი. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევისა და სამუშაო ძალის გამოკვლევის შეწონვის მეთოდოლოგიის სრულყოფა, ასევე აბსოლუტური სიღარიბის ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება სიღარიბის საერთაშორისო ზღვრების მიმართ.
- 2017 წელს საქსტატში იმყოფებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწვეული შერჩევის სპეციალისტი, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (2018 Georgia MICS) შერჩევის ზომისა და დიზაინის შემუშავების მიზნით.
- 2017 წელს შვედეთის სტატისტიკის ბიუროსთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები შვედეთის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტებთან, როგორც საქართველოში, ისე შვედეთში. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო უცხოელ ვიზიტორთა კვლევის დიზაინის, შერჩევის, შეწონვისა და იმპუტაციის მეთოდოლოგიის სრულყოფა. შვედეთში სასწავლო ვიზიტის დროს, შვედ ექსპერტებთან ერთად ასევე განხილულ იქნა და დაიგეგმა გარე (გამყვანი) ტურიზმის კვლევის დანერგვისათვის საჭირო ქმედებები.

გეგმები 2018 წლისთვის

2018 წელს საქსტატი გეგმავს აქტიურ მუშაობას ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ვებ-გვერდზე განთავსდება დეტალური თემატური რუკები;
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების დამუშავება საწარმოთა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის სახის (NACE rev.2-ის საფუძველზე) და ზომის მიხედვით;
- საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით;
- შემოსავლების სამსახურის და მომსახურების სააგენტოს მონაცემთა კოორდინირებული კორექტირება საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ, საგადასახდლო ბალანსსა და საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- ახალი მეთოდით (CAPI) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება;
- ახალი მეთოდით (CAPI) აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება;
- ფერმების მთლიანი მარჟის გამოკვლევის ჩასატარებლად მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი ინდიკატორების წარმოების მიმართულებით;
- პრიორიტეტული გარემოსდაცვითი ეკონომიკური ანგარიშების პირველადი შედეგების მომზადება და ამ მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერება;
- არსებული ნარჩენების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და ნარჩენებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრა.
- საერთაშორისო შედარებების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების გაგრძელება, რაც მოიცავს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების, საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა მაჩვენებლების გამოკვლევას;
- მშენებლობის ღირებულების ყოველკვარტალური ინდექსის (CCI) გამოქვეყნება;
- პლანშეტური კომპიუტერების დანერგვა სამომხმარებლო ფასების მონაცემთა შეგროვების პროცესში;
- საფინანსო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა წლიური გამოკვლევის განხორციელება;
- ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება;
- ბიზნეს სექტორის წინა პერიოდის მონაცემების გადაანგარიშება საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით;
- ბიზნეს სექტორის წინა პერიოდის მონაცემების გადაანგარიშება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორის - NACE Rev 2-ის მიხედვით;
- ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ფასების სტატისტიკის წარმოება;

- ყოველთვიური და მოკლევადიანი ენერგეტიკის სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება;
- ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლების სრულყოფა;
- ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესება;
- უცხოელ ვიზიტორთა კვლევაში, კომპიუტერის მეშვეობით პერსონალური ინტერვიუების (CAPI) მეთოდის დანერგვა.
- 2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მუშაობა გარე (გამყვანი) ტურიზმის კვლევისათვის საჭირო საზღვრის კვების მონაცემების მომზადების მიზნით. აღნიშნული აუცილებელი იქნება გარე (გამყვანი) ტურიზმის კვლევის შერჩევის, მონაცემთა შეწონვისა და გავრცელებისთვის;
- შრომის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები (დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით) გავრცელდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორის - NACE rev.2-ის მიხედვით;
- შემუშავდება შრომის სტატისტიკური გამოკვლევის შემდეგი დამატებითი მოდულები: სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების ღირებულება და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით. მოდულები 4 წელიწადში ერთხელ დაემატება საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე კვლევების წლიურ კითხვარებს. 2018 წელს პირველად განხორციელდება 2017 წლის წლიური მონაცემების მიღება ამ მოდულების შესაბამისად. ამასთან, მოხდება მიღებული მონაცემების დამუშავება და გავრცელება.
- სამუშაო ძალის გამოკვლევაში, კომპიუტერის მეშვეობით პერსონალური ინტერვიუების (CAPI) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.
- გავრცელდება სამუშაოები შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის კითხვარისა და მეთოდოლოგიის დახვეწაზე, მათი ოპტიმიზაციისა და ახალი ინდიკატორების დანერგვის მიზნით.
- განხორციელდება აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების წარმოება და გავრცელება, საერთაშორისო სიღარიბის ზღვრების მიმართ.
- განხორციელდება გაეროს მიერ შემუშავებული გენდერული ინდიკატორების გლობალური მინიმალური სიის შესაბამისი მაჩვენებლების მოპოვება და გავრცელება;
- დასრულდება „გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე“ კვლევის ანალიტიკური ანგარიშის მომზადება და გავრცელება.
- განხორციელდება შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევის კითხვარის და მეთოდოლოგიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება ევროსტატის ანალოგიური კვლევის მიმდინარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- მომზადდება „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის“ ანალიტიკური ანგარიში და მოხდება შესაბამისი მონაცემების გავრცელება.
- 2018 წელს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარების მიზნით, ჩატარდება სავსელე სამუშაოები და მომზადდება ანალიტიკური ანგარიში;

- შემცირდება ცალკეულ მონაცემთა გავრცელების ვადები: „მონაცემები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ“ (შემცირდა ერთი თვით), „მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ“ (შემცირდა 10 დღით), „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ“ (შემცირდა 15 დღით);
- სტატისტიკურ გამოკვლევებში მონაწილე საველე პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება;
- გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთათვის ტრენინგის ჩატარება.